საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი **N80**
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

20 სექტემბერი 2024 წ.

KA000029660044724

№ **2024/4684**

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ ვასილ მშვენიერაძეს

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae)

მსჯავრდებულ [redacted] სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ვასილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა N12 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის, [redacted] განცხადებები. [redacted] მიუთითებს, რომ სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლაზე დაუსაბუთებლად ეთქვა უარი, რაც სასამართლოში გაასაჩივრა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2024 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით[1] [redacted] სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივ საბჭოს (შემდგომში - ადგილობრივი საბჭო) საქმისათვის არსებითი გარემოებების გამოკვლევით ხელახალი გადაწყვეტილების მიღება დაავალა.

ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით[2] [redacted] კვლავ უარი ეთქვა შეღავათის გავრცელებაზე.

[redacted] განმარტებით, ადგილობრივი საბჭოს ხსენებული გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა. საქმეს ამჟამად თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს.

მოგახსენებთ, რომ წინამდებარე მოსაზრებაში განხილულ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია, როგორც უშუალოდ მსჯავრდებულის უფლებრივი მდგომარეობის, ისე სასამართლოს შემდგომი პრაქტიკის განვითარებისთვის მსგავსი საკითხის გადაწყვეტისას.

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი“.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც განსახილველ საქმეში მხარე ან მესამე პირი არ არის, აქვს უფლება, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე[3] სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.

შესაბამისად, ვიყენებ რა საქართველოს კანონმდებლობით მონიჭებულ უფლებამოსილებას, მოგმართავთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებულ [redacted] ადმინისტრაციულ სარჩელთან დაკავშირებით. მოცემული წერილობითი მოსაზრების მიზანია არა პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა, არამედ - სასამართლოს დახმარება, ადამიანის უფლებათა სტანდარტით და გათვალისწინებით, სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი.

ფაქტობრივი გარემოებები

ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების გაცნობის შედეგად ვლინდება:

- [redacted] მსჯავრდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-9 ნაწილითა და 128-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით. სასჯელის მოხდა დაეწყო 2019 წლის 10 თებერვალს, ვადა კი იწურება 2026 წლის 27 ნოემბერს;
- „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2022 წლის 12 აპრილის კანონის შესაბამისად, [redacted] სასჯელი შეუმცირდა 75 დღით;
- 2019 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მსჯავრდებულთა რისკებს შეფასების გუნდის მიერ [redacted] განესაზღვრა საშიშროების საშუალო რისკი;
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2019 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებით, მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა განესაზღვრა ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში;
- შეფასების მიხედვით, სასჯელის მოხდის პერიოდში, თავისუფალ დროს, [redacted] დაკავებულია ვარჯიშით, სარგებლობს საბიბლიოთეკო მომსახურებით, მონაწილეობა მიიღო სპორტულ მარათონში, ითამაშა ჭადრაკი, შაში, ფეხბურთი და მაგიდის ჩოგბურთი, ინტელექტუალური და შემეცნებითი შეხვედრა „რა? სად? როდის?“; გაიარა ინგლისური და გერმანული ენების შემსწავლელი კურსი, ჯგუფური ინტერვენცია-ფსიქო-სოციალური თერაპიები „ნაბიჯი ცვლილებებისკენ“ და „პენიტენციური სტრესი“, დაესწრო პროფესიული კონსულტირებისა და კარიერული დაგეგმვის ინდივიდუალურ სესიას დისტანციურად, მოისმინა ლექცია-სემინარი რელიგიურ და თეოლოგიურ თემებზე. ჩართული იყო ერუდიციის კურსში, მონაწილეობა მიიღო ლიტერატურულ კონკურს „ივერიაში“, სადაც გაგზავნილი ჰქონდა თავისი შემოქმედება. აგრეთვე, მსჯავრდებული ჩართული იყო მცირე და საშუალო ბიზნესის მართვის სპეციფიკის კურსში;
- სასჯელის მოხდის პერიოდში [redacted] დისციპლინური წესით დასჯილი არ ყოფილა;
- სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებული წახალისებულია 6-ჯერ, შემდეგ თარიღებში: 16.03.2020, 17.05.2022, 07.02.2023, 22.03.2023, 19.05.2023, 20.02.2024;
- შეფასების მიხედვით, [redacted] იცავს დაწესებულების დებულებას, დაწესებულების დღის განრიგსა და სამართლებრივ რეჟიმს, ასრულებს ადმინისტრაციის კანონიერ მოთხოვნებს. დაწესებულების ადმინისტრაციისა და სხვა მსჯავრდებულთა მიმართებით არის თავაზიანი, არ არის კონფლიქტური და აგრესიული;
- [redacted] წარსულში არ არის ნასამართლევი;
- მსჯავრდებული დაოჯახებულია, ჰყავს მეუღლე, ერთი არასრულწლოვანი შვილი და პენსიონერი დედა. მისი განმარტებით, რეგულარულად სარგებლობს სატელეფონო საუბრისა და პაემნის უფლებით;
- მისი განმარტებით, გათავისუფლების შემდგომ აპირებს დასაქმებას;
- შეფასების მიხედვით, მსჯავრდებული აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს;
- შეფასების მიხედვით, გასაუბრების პროცესში [redacted] განსაკუთრებული რისკ-ფაქტორის გარეშეა. შეუძლია საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება. აქვს სამუშაო გამოცდილება, გამოხატული სამომავლო გეგმები. დაწესებულებაში ცდილობს დროის რაციონალურად გამოყენებას. საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობს ფსიქოლოგიური სერვისით. ადეკვატურად ამყარებს მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივ კავშირს. ნეგატიურ კონტექსტში განიხილავს ჩადენილ ქმედებას;
- გადაწყვეტილების მიხედვით, დაზარალებულის უფლებამონაცვლის მიერ 2023 წლის 9 თებერვალს წარმოდგენილია განცხადება, სადაც მიუთითებს, რომ კატეგორიულად წინააღმდეგია [redacted] მიმართ ნებისმიერი სახის შეღავათის გამოყენების თაობაზე და ითხოვს ადგილობრივი საბჭოს მხრიდან ამ პოზიციის გათვალისწინებასა და განცხადების მოთავსებას მსჯავრდებულის პირად საქმეში.

ადგილობრივი საბჭო თავის გადაწყვეტილებაში არსებით ყურადღებას უთმობს დაზარალებულის პოზიციის გათვალისწინების მნიშვნელობას დაზარალებულის ინტერესების დაცვის კონტექსტში. ადგილობრივი საბჭო ცალსახად არ ასახელებს დაზარალებულის უარს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად, თუმცა სავარაუდოა, რომ ძირითადი მიზეზი სწორედ ეს გახდა, ვინაიდან გადაწყვეტილების დასაბუთების ძირითადი ფოკუსი ამ საკითხზე იყო შეჩერებული.

ადგილობრივი საბჭოს მითითებით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში აფასებს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) დანაშაულის ხასიათი; ბ) მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში; გ) მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა; დ) ოჯახური პირობები; ე) მსჯავრდებულის პიროვნება.

საბჭო მიუთითებს ზემოხსენებული 5 ძირითადი კრიტერიუმის ჯეროვნად შეფასების მნიშვნელობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუმცა, ფაქტობრივად, შინაარსობრივი შეფასების გარეშე ტოვებს დასახელებულ კრიტერიუმებს და იფარგლება ფაქტების აღწერით.

გარდა ადგილობრივი საბჭოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებისა, [redacted] სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ ბათილად ცნო სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 6 სექტემბრის N02/23/შ/პ-0506 გადაწყვეტილება მსჯავრდებულის სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე უარის თქმის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მითითებულ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის საკითხის გადაწყვეტისას, მნიშვნელოვანია, საბოლოოდ დადგინდეს, გამოსწორებულია თუ არა მსჯავრდებული მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით და მისი გამოსწორებისათვის საჭირო არის თუ არა დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა პენიტენციურ დაწესებულებაში.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა [redacted] პიროვნებაზე, მის ყოფაქცევაზე სასჯელის მოხდის პერიოდში, აქტივობებში ჩართულობაზე, პატიმრებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების მიმართ დამოკიდებულებაზე, წარსულსა და სამომავლო გეგმებზე და აღნიშნა, რომ მოცემული ფაქტობრივი გარემოებებისა და მოსარჩელის ახსნა-განმარტებების გათვალისწინებით, მოპასუხემ განმეორებით უნდა იმსჯელოს შუამდგომლობაზე და უნდა შეაფასოს მოსარჩელის რესოციალიზაციის საკითხი. ასევე, საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირების შედეგად, **მიუხედავად დაზარალებულის თანხმობის არარსებობისა,** მოსარჩელის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, უნდა შეაფასოს მოსარჩელის მიმართ უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენების შესაძლებლობა ისევე, როგორც მისი დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულის მიმართ.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება მიღებული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და ადგილობრივ საბჭოს დაავალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუციის[4] თანახმად, სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შემსუბუქების სხვა წესი განისაზღვრება კანონით. კანონის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.[5] სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. მსჯავრდებულზე ასეთი ზემოქმედების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ კანონმდებლობით.[6] სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება.[7]

კანონით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საბჭოს შეუძლია ვადიანი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, გარდა განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულისა, სასჯელის მოხდის დროს, მისივე თანხმობით, შეუცვლოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით[8] ან შინაპატიმრობით,[9] თუ მან ფაქტობრივად მოიხადა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.[10] მსჯავრდებულს, მის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს (გარდა საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულისა) უფლება აქვს, წარუდგინოს საბჭოს მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის განსახილველად საჭირო დოკუმენტაცია და შესაბამისი შუამდგომლობა. აგრეთვე, შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის წარდგენა.[11]

საბჭოს განხილვა ტარდება ზეპირი მოსმენით ან/და ზეპირი მოსმენის გარეშე, ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით.[12] ზეპირი მოსმენის გარეშე საბჭო შეფასების კრიტერიუმების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ, ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ან საქმის ზეპირი მოსმენით განსახილველად დაშვების შესახებ.[13] საბჭო განხილვისას ითვალისწინებს სასჯელის მოხდისას მსჯავრდებულის ქცევას, წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტს, მსჯავრდებულის პიროვნებას, ოჯახურ მდგომარეობას, ჩადენილი დანაშაულის ხასიათს და სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბჭოს გადაწყვეტილებაზე.[14] გადაწყვეტილებაში აღინიშნება მსჯავრდებულის შესახებ მონაცემები და საქმის ძირითადი გარემოებები.[15]

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დეტალურად არის აღწერილი შეფასების კრიტერიუმები და საყურადღებო გარემოებები:[16]

- დანაშაულის ხასიათი – ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მისი ჩადენის გარემოებები და ვითარება, ჩადენილია თუ არა პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში;
- მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში – გამოყენებული დისციპლინური, ადმინისტრაციული და წამახალისებელი ღონისძიებების რაოდენობა და სახე, კონკრეტულად, რა სახის ქმედების გამო იყო ეს ღონისძიებები გამოყენებული, დაწესებულების დებულების, დღის განრიგის, მოვალეობების შესრულებისა და სამართლებრივი რეჟიმის დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა – წარსულში რამდენჯერ, რა სიმძიმის და რა სახის დანაშაულის ჩადენის ფაქტს ჰქონდა ადგილი, რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისთვის და რამდენჯერ იყო ნასამართლევი;
- ოჯახური პირობები – მსჯავრდებულის დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი შვილები, შრომისუუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვა;
- მსჯავრდებულის პიროვნება – დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან, დაწესებულების მოსამსახურეებთან და სხვა მსჯავრდებულებთან, ინფორმაცია სასჯელის მოხდისას სოციალურ აქტივობებში მიღებული მონაწილეობის შესახებ, საჭიროებს თუ არა განსაკუთრებულ ზედამხედველობას დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელიც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, გამოიცემა საბჭოს სხდომის გამართვიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა.[17] მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდეს სასამართლოში.[18]

სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის შემთხვევაში, გათავისუფლებული მსჯავრდებულის ყოფაქცევის კონტროლს ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო.[19] თუ შინაპატიმრობით გათავისუფლებულმა მსჯავრდებულმა შინაპატიმრობის მოხდისას: განზრახ თავი აარიდა მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, ან თუ სხვა მიზეზით სასჯელის შემდგომი მოხდა მიზანშეუწონელია, სასამართლოს შეუძლია დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს წარდგინებით დაადგინოს, რომ გაუქმდეს შინაპატიმრობა და აღსრულდეს სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილი; თუ გაუფრთხილებელი დანაშაული ჩაიდინა, შინაპატიმრობის გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხს წვეტს სასამართლო; ხოლო, თუ განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო გააუქმებს შინაპატიმრობას და მსჯავრდებულს დაუნიშნავს სასჯელს კანონით დადგენილი წესით. იმავე წესით დაენიშნება მას სასჯელი გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისთვის, თუ სასამართლო გააუქმებს შინაპატიმრობას.[20]

საერთაშორისო სტანდარტები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, პირობით ვადამდე გათავისუფლების პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები, მათი განხორციელების წესი და მსჯელობა მიეკუთვნება სახელმწიფოების უფლებამოსილებას.[21] სახელმწიფოს არჩევანი კონკრეტული სისხლისსამართლებრივი სისტემის სასარგებლოდ, მათ შორის, სასჯელის გადახედვისა თუ ვადამდე გათავისუფლების საკითხებზე, ხვდება ევროპული სასამართლოს ზედამხედველობის სფეროს მიღმა იმ პირობით, რომ სისტემა არ ეწინააღმდეგება კონვენციით დადგენილ პრინციპებს.[22]

მართალია, დასჯა თავისუფლების აღკვეთის ერთ-ერთი მიზანია, თუმცა ევროპული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა უკვე აქცენტს აკეთებს პატიმრობის სარეაბილიტაციო მიზანზე, როგორც გრძელვადიანი სასჯელის სასურველ საბოლოო შედეგზე.[23] ასევე, დანაშაულის ხელახლა ჩადენის პრევენცია წარმოადგენს საპატიმრო სასჯელის ერთ-ერთ „უმთავრეს ფუნქციას“.[24] მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ იძლევა გარანტიას - რეაბილიტაციის უფლებას, სასამართლოს პრეცედენტული სამართალი აცხადებს, რომ მსჯავრდებულებს, მათ შორის უვადო პატიმრებს, უნდა შეეძლოთ რეაბილიტაცია[25] და, ასევე, უნდა ჰქონდეთ გათავისუფლების პერსპექტივა რეაბილიტაციის გავლის შემდეგ.[26] იმ გარემოებებში, როდესაც მთავრობა ცდილობს დაეყრდნოს მხოლოდ დამნაშავეების მიერ საზოგადოების წინაშე არსებულ რისკს, რათა გაამართლოს მათი პატიმრობა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დამნაშავეთა რეაბილიტაციის წახალისების საჭიროება. ხოლო რეაბილიტაციის ერთ-ერთი მიზანია ხელახალი დანაშაულის თავიდან აცილება და ამით საზოგადოების დაცვის უზრუნველყოფა.[27]

ევროპული ციხის წესების[28] თანახმად, ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ისარგებლოს მექანიზმებით, რომლებიც გათავისუფლების შემდგომ მათ თავისუფალ საზოგადოებაში დაბრუნებას შეუწყობს ხელს; უნდა შედგეს პერსონალური გეგმა თითოეული პატიმრის სასჯელის მოხდის შესახებ და სტრატეგია პატიმართა გათავისუფლებისათვის მომზადების შესახებ; გეგმა, რამდენადაც მისი პრაქტიკაში გატარება შესაძლებელია, უნდა მოიცავდეს: სამუშაოს, განათლებას, სხვა აქტივობებს, გათავისუფლებისათვის მომზადებას; მსჯავრდებულებს დროულად უნდა დაეხმარონ, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროცედურებსა და სპეციალურ პროგრამებში, რომელიც დაეხმარება მათ მოახდინონ ტრანსფორმაცია ციხეში ცხოვრებიდან კანონმორჩილი ცხოვრებისაკენ საზოგადოებაში; ეს მიზანი შეიძლება მიღწეული იქნას ციხეებში გათავისუფლებისათვის მოსამზადებელი პროგრამების არსებობით, ან ნაწილობრივ ან პირობითი გათავისუფლებით ზედამხედველობის ქვეშ ძლიერ სოციალურ მხარდაჭერასთან კომბინაციაში.

გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების (ნელსონ მანდელას წესები)[29] თანახმად, სასურველია სასჯელის ვადის დასრულების წინ მიღებულ იქნას ზომები პატიმრის საზოგადოებაში თანდათანობითი დაბრუნებისათვის. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია თითოეული საქმის თავისებურების გათვალისწინებით, განსაკუთრებით გათავისუფლების წინარე რეჟიმის შემუშავების გზით თვით იმავე ციხეში ან რომელიმე სხვა დაწესებულებაში, ან სასამართლოზე პატიმრის გათავისუფლებით რაიმე სახის ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც არ უნდა ევალებოდეს პოლიციას და რომელიც უნდა იყოს შერწყმული ეფექტიან სოციალურ დახმარებასთან.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის[30] თანახმად:

- პირობით ვადამდე გათავისუფლების ვადის და კრიტერიუმების შესახებ უნდა იცოდნენ პატიმრებმა[31] და ამ უფლების მისაღებად მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადა უნდა განისაზღვროს კანონით;[32] ასევე, კრიტერიუმები, უნდა იყოს მკაფიო და რეალისტური იმ თვალსაზრისით, რომ გაითვალისწინოს პატიმართა პიროვნული, სოციალური და ეკონომიკური გარემოებები, პროგრამების ხელმისაწვდომობა;[33]
- პატიმრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შემდეგი გარანტიებით: მსჯავრდებულებს უნდა ჰქონდეთ პირადად მოსმენისა და იურიდიული დახმარების უფლება; გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ ყურადღებით უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი ელემენტი, მათ შორის მსჯავრდებულთა განცხადებები, მსჯავრდებულებს უნდა ჰქონდეთ ადეკვატური წვდომა თავიანთ საქმეზე; გადაწყვეტილებებში უნდა იყოს მითითებული ძირითადი მიზეზები და ეცნობოს წერილობით;[34] გადაწყვეტილების მიმღებ პირებს უნდა ჰქონდეთ ანგარიშები, მათ შორის, ზეპირი განცხადებები ციხეში მომუშავე პერსონალისგან, ვინც იცნობს პატიმრებს და მათ პირად მდგომარეობას;[35]
- პირობით გათავისუფლებულ პატიმართა რეციდივის რისკის შესამცირებლად შესაძლებელი უნდა იყოს ინდივიდუალური პირობების დაკისრება;[36] პირობით გათავისუფლებას ასევე უნდა ახლდეს ზედამხედველობა, რომელიც შედგება დახმარებისა და კონტროლის ზომებისგან. ზედამხედველობის ბუნება, ხანგრძლივობა და ინტენსივობა უნდა იყოს ადაპტირებული ინდივიდუალურ შემთხვევაზე და დაწესდეს გარკვეული პერიოდის განმავლობაში;[37]
- მსჯავრდებულებს უნდა შეეძლოთ საჩივრის შეტანა ზემდგომ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში და ჰქონდეთ პროცედურული გარანტიები; ასევე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჩივრის წარდგენის პროცედურები პირობითი გათავისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებით.[38]

სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგები

პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის სისტემური ხარვეზები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი წლების განმავლობაში, მათ შორის, 2014 წელს[39] და 2019 წელს[40] გამოქვეყნებულ სპეციალურ ანგარიშებში, საქმიანობის ანგარიშებსა[41] და საპარლამენტო ანგარიშებში[42] ყურადღებას ამახვილებდა მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკის, მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის შესწავლის შედეგად გამოვლენილ პრაქტიკულ და საკანონმდებლო ხარვეზებზე. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ადგილობრივი საბჭოები, ხშირ შემთხვევაში, გადაწყვეტილებებს არ ასაბუთებდნენ და არ მიუთითებდნენ კონკრეტულ მოტივაციაზე, რის გამო ანიჭებდნენ ერთ კრიტერიუმს უფრო მეტ ყურადღებას და სხვას - ნაკლებს. გარდა ამისა, გადაწყვეტილებები არაერთგვაროვანი იყო და საბჭოს მსგავსი ფაქტობრივი მოცემულობის მქონე საქმეებში განსხვავებული გადაწყვეტილებები გამოჰქონდა. მიუხედავად ბოლო პერიოდში გამოვლენილი დადებითი ტენდენციებისა, ადგილობრივი საბჭოების საქმიანობაში კვლავ იკვეთება გარკვეული ხარვეზები, რომლებიც დეტალურად მიმოხილულია შესაბამის ანგარიშებში.[43]

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მექანიზმის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია, დროულად გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები, რათა პატიმრები სრულად იყვნენ ორიენტირებულნი სასჯელის მოხდის პერიოდში მათზე დაკისრებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებასა და რესოციალიზაციის პროცესზე, შედეგად კი ჰქონდეთ ამ მექანიზმით ეფექტურად სარგებლობის იმედი.

წინამდებარე საქმის ანალიზი

მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად საკვანძო მნიშვნელობისაა, შეფასდეს, მიღწეულია თუ არა სასჯელის მიზნები და მიზანშეწონილია თუ არა მსჯავრდებულის პატიმრობის გაგრძელება.

აღნიშნული მიზნისათვის მნიშვნელოვანია, შეფასდეს ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებზეც ადგილობრივი საბჭო თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებს. განსაკუთრებით კი - ის ფაქტორები და გარემოებები, რომლებზეც ზეგავლენის მოხდენა პატიმრის კონტროლის ფარგლებშია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასჯელის მოხდის პერიოდში [redacted] მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ აქტივობასა თუ პროგრამაში. შეფასების მიხედვით, იგი რაციონალურად იყენებს დროს პენიტენციურ დაწესებულებაში, სარგებლობს საბიბლიოთეკო მომსახურებით, ფსიქოლოგიური მომსახურებით, არის თავაზიანი, არ არღვევს რეჟიმის მოთხოვნებს და ემორჩილება კანონიერ მოთხოვნებს.

გარდა ამისა, [redacted] აღიარებს და ინანებს ჩადენილ დანაშაულს. ოჯახთან აქვს რეგულარული კომუნიკაცია როგორც ტელეფონის, ასევე, პაემნების საშუალებით. წახალისების სახით, სხვადასხვა დროს,

მიღებული აქვს ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება. აქვს ცხადად გამოკვეთილი სამომავლო გეგმები, არ არის წარსულში ნასამართლევი, გათავისუფლების შემდგომ სურს დასაქმება.

სადავო გადაწყვეტილებაში ადგილობრივი საბჭო განმარტავს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილ ქცევას, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტს, მის პიროვნებას, ოჯახურ მდგომარეობას, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბჭოს გადაწყვეტილებაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ადგილობრივი საბჭოს მითითებით, შეფასების კრიტერიუმებია: ა) დანაშაულის ხასიათი; ბ) მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში; გ) მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა; დ) ოჯახური პირობები; ე) მსჯავრდებულის პიროვნება.

საბჭო გადაწყვეტილებაში მიუთითებს ზემოხსენებული 5 ძირითადი კრიტერიუმის ჯეროვნად შეფასების მნიშვნელობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხაზს უსვამს, თუ რატომ არის თითოეული კრიტერიუმი მნიშვნელოვანი საშეღავათო მექანიზმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

მიუხედავად ამისა, საბჭო, ფაქტობრივად, შეფასების გარეშე ტოვებს მსჯავრდებულის ქცევას სასჯელის მოხდის პერიოდში და არ განმარტავს, თუ რატომ გადაწონა დადებითი შეფასება და ფაქტორები სხვა გარემოებებმა, რომლებმაც საბჭო უარყოფით გადაწყვეტილებამდე მიიყვანა.

გასათვალისწინებელია, რომ ადგილობრივი საბჭო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. ხოლო პირობით ვადამდე გათავისუფლება, ისევე, როგორც სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლა, არ წარმოადგენს ძირითად უფლებას, არამედ საშეღავათო მექანიზმს, რომელსაც პატიმარს შეუძლია, მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციული წარმოებისას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები ჯეროვნად იქნეს გამოკვლეული და შეფასებული. მაშინ, როდესაც პატიმრისათვის შეღავათის გამოყენება კონკრეტულ გარემოებებზე არის დამოკიდებული, რომლებზეც ადგილობრივი საბჭოც მიუთითებს, საბჭო არ უნდა დასჯერდეს თითოეულ კომპონენტში პატიმრისათვის დამახასიათებელი ნიშნების ფაქტობრივ აღწერას, არამედ, უნდა მისცეს შეფასება და წარმოაჩინოს უარყოფითი და დადებითი ფაქტორების შეპირისპირება. მხოლოდ ამგვარად შეიძლება გახდეს მსჯავრდებულისთვის ცხადი, თუ რამ განაპირობა საბჭოსათვის ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება.

მისასალმებელია ადგილობრივი საბჭოს მხრიდან გადაწყვეტილებაში საერთაშორისო სტანდარტებზე, ძირითად კრიტერიუმებსა და დაზარალებულის პოზიციის მნიშვნელობაზე მითითება, თუმცა უარყოფითი გადაწყვეტილება დასაბუთებულ უნდა იქნეს სწორედ ამ კრიტერიუმების, სტანდარტების შეპირისპირების საფუძველზე. მნიშვნელოვანია, რომ საბჭომ გადაწყვეტილებაში უზრუნველყოს ზემოხსენებული სტანდარტებისა და პრინციპების ინდივიდუალურ შემთხვევაზე მორგება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ატარებს მხოლოდ აღწერილობით ხასიათს და მსჯავრდებულისათვის გაუგებარი რჩება, საბჭოს გადაწყვეტილებაში მოხმობილი დადებითი შეფასება რატომ დარჩა უგულვებელყოფილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და, გონივრულად, დამატებით რის მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს ორგანოს მსჯავრდებულისაგან რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სასჯელის მიზნების მიღწევის საკითხში.

მოცემულ შემთხვევაში, აშკარად იკვეთება, რომ [redacted] აქტიურად იყო ჩართული რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში. აღნიშნულზე მეტყველებს მის მიერ შესაბამის ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა და მიღებული წახალისებები. ხუთ ძირითად კრიტერიუმში აღწერილი გარემოებებისა და შეფასების მიხედვით, არ რჩება გონივრული ეჭვი, რომ საშეღავათო მექანიზმის გამოყენებისათვის, [redacted] შემთხვევაში, რომელიმე მათგანი რაიმე დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენდა.

ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებიდან აშკარაა, რომ მსჯავრდებულმა, სასჯელის მოხდის პერიოდში, თავისი ობიექტური შესაძლებლობის ფარგლებში, არსებითი ძალისხმევა გასწია რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სასჯელის მიზნების შესრულების მიმართულებით.

ადგილობრივი საბჭო გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია, გადაწყვეტილება მიიღოს ერთ კრიტერიუმზე დაყრდნობით. ამასთან, გადაწყვეტილების ბოლოს აღნიშნავს, რომ საბჭოსთვის მხოლოდ ერთი კრიტერიუმი არ გამხდარა დამაბრკოლებელი გარემოება, რომლის საფუძველზეც უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა **არ აზუსტებს კონკრეტულ დამაბრკოლებელ გარემოებებს. ამგვარად, მსჯავრდებულისათვის გაუგებარი რჩება, მისი დადებითი დახასიათებისა და 5 ძირითად კრიტერიუმში აშკარად გამოკვეთილი დამაბრკოლებელი გარემოების არარსებობის პირობებში, რა გახდა უარის საფუძველი და რა შეიძლება გაითვალისწინოს მან სამომავლოდ.**

საბჭო გადაწყვეტილებაში მოცულობით ადგილს უთმობს, ზოგადად, ადმინისტრაციულ წარმოებაში, დაზარალებულის პოზიციის გათვალისწინების მნიშვნელობას და, ამგვარად, სავარაუდოა, რომ მთავარი დამაბრკოლებელი გარემოება, მოცემულ შემთხვევაში, სწორედ დაზარალებულის პოზიცია გახდა.

სახალხო დამცველი ცალსახად ხაზს უსვამს დაზარალებულის პოზიციის მხედველობაში მიღების მნიშვნელობას, თუმცა იმ პირობებში, როდესაც გადაწყვეტილებაში 5 ძირითადი კრიტერიუმის შეფასებისას საბჭო არ მიუთითებს რაიმე დამაბრკოლებელ გარემოებაზე და მეტიც, მსჯავრდებულს აქვს საკმაოდ დადებითი შეფასება, მოცემული ინფორმაციის უგულვებელყოფა და მხოლოდ დაზარალებულის პოზიციის გათვალისწინება უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისას ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ საქმეში ჯეროვნად არ არის შეფასებული არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, არაპროპორციულად მცირე მნიშვნელობა აქვს მინიჭებული ძირითად კრიტერიუმებში დადებით ფაქტორებს და სრულიად შეფასების გარეშე ტოვებს მსჯავრდებულის პატიმრობის გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხს, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში და სასჯელის მოხდის პერიოდში გამოვლენილი ქცევის გამოკვეთილად დადებითი შეფასების მიუხედავად. საბჭო, ინდივიდუალურ შემთხვევაში,

არაპროპორციულად მცირე ყურადღებას უთმობს [redacted] სასჯელის მიზნების მიღწევის შეფასების საკითხს, რაც საშეღავათო მექანიზმის გამოყენებისას საკვანძო საკითხია და, ჩვეულებრივ, გადაწყვეტილების მიღებისა და დასაბუთების პროცესში ცენტრალურ ფოკუსს უნდა წარმოადგენდეს.

გარდა ამისა, გადაწყვეტილების მიღებამ მხოლოდ იმგვარ კრიტერიუმზე დაყრდნობით, რომელზე ზეგავლენაც არ არის მსჯავრდებულის კონტროლის ფარგლებში და მისი ცვლილება პატიმრის ძალისხმევის მიღმაა, შესაძლოა გამოიწვიოს ფრუსტრაცია და უარყოფითად აისახოს პატიმრის მოტივაციაზე, რამაც, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას სასჯელის მიზნების მიღწევასაც.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ [redacted] არ ითხოვს სასჯელისაგან სრულად გათავისუფლებას, არამედ, სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლას, რის დაკმაყოფილების შემთხვევაში, იგი კვლავ აგრძელებს სასჯელის მოხდას და არ გადის სახელმწიფოს კონტროლის ფარგლებიდან. ხოლო რაიმე დარღვევის შემთხვევაში რეაგირების პასუხისმგებლობა კომპეტენტურ უწყებას ევალება.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, გარემოებების სწორი სამართლებრივი გადაწყვეტა უშუალო გავლენას ახდენს როგორც ინდივიდების უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფაზე, ასევე, სასამართლოს შემდგომი პრაქტიკის განვითარებაზე, მოგმართავთ წინამდებარე სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით და ვიმედოვნებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო ჯეროვნად იმსჯელებს დასახელებულ გარემოებებზე და წარმოადგენს დასაბუთებულ პოზიციას განსახილველ საკითხებზე.

ამასთან, ზემოაღნიშნულ გარემოებებზე ჯეროვანი მსჯელობა და დასაბუთებული პოზიციის წარმოდგენა ხელს შეუწყობს როგორც დასაბუთებული გადაწყვეტილების სტანდარტის დამკვიდრებას, ასევე, დადებით გავლენას მოახდენს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და კანონმორჩილი ცხოვრებისკენ დაბრუნებაზე.

დამატებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16^1 მუხლის შესაბამისად, გამოვთქვამთ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

---

[1] საქმე [redacted]

[2] გადაწყვეტილება [redacted]

[3] თბილისის საქალაქო სასამართლოსთან სატელეფონო კომუნიკაციით, სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2024 წლის 23 სექტემბერს ჩანიშნული სხდომა გადაიდო, განმხილველი მოსამართლის შეცვლის გამო.

[4] საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[5] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[6] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[7] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[8] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[9] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-3^1 ნაწილი.

[10] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

[11] პენიტენციური კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები.

[12] პენიტენციური კოდექსის 92-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[13] იქვე, 92-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

[14] პენიტენციური კოდექსის 92-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

[15] პენიტენციური კოდექსის 92-ე მუხლის მე-10 ნაწილი.

[16] „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანების დანართის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტები.

[17] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანების დანართის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[18] პენიტენციური კოდექსის 92-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

[19] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

[20] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-12 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

[21] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Kafkaris v. Cyprus, განაცხადი N21906/04 §151.

[22] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Vinter and others V. UK განაცხადები N 66069/09, 130/10 and 3896/10) პარ. 103.

[23] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Vinter and others v. UK განაცხადები N66069/09, 130/10 and 3896/10 პარ. 115.

[24] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Vinter and others v. UK განაცხადები N66069/09, 130/10 and 3896/10 პარ. 108.

[25] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Murray v. the Netherlands განაცხადი N10511/10 პარ. 103.

[26] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Vinter and others v. UK განაცხადები N66069/09, 130/10 and 3896/10 პარ. 114.

[27] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Murray v. the Netherlands განაცხადი N10511/10 პარ. 102.

[28] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე, ცვლილებები და შესწორებები შეტანილია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2020 წლის 1 ივლისს მინისტრთა მოადგილეების 1380-ე კრებაზე) პუნქტ. 33.3, 103.2, 103.4, 107.1-107.3. <https://rm.coe.int/09000016809ee581> [ბოლოს ნანახია: 20.08.2024 წელს].

[29] გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია N70/175, მიღებული 2015 წლის 17 დეკემბერს. წესი 87. იხ. <https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/GA-RESOLUTION/E_ebook.pdf> [ბოლოს ნანახია: 20.08.2024 წელს.]

[30] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)22 პირობით გათავისუფლების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 24 სექტემბერს მინისტრთა მოადგილეების 853-ე შეხვედრაზე) იხ. <https://rm.coe.int/16800ccb5d> (ბოლოს ნანახია: 20.08.2024 წელს).

[31] იქვე, პუნქტი 5.

[32] იქვე პუნქტები 16 და 22.

[33] იქვე, პუნქტი 18.

[34] იქვე, პუნქტი 32.

[35] იქვე, პუნქტი 25.

[36] იქვე, პუნქტი 8.

[37] იქვე, პუნქტები 9 და 10.

[38] იქვე, პუნქტები 33-34.

[39] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა“ 2014 წ. <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019041114483621063.pdf> [ბოლოს ნანახია: 20.08.2024 წელს].

[40] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში: პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში“. 2019 წ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf> [ბოლოს ნანახია: 20.08.2024 წელს].

[41] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიშები: 2021 წლის ანგარიში, გვ. 56-69, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf> [ბოლოს ნანახია: 20.08.2024 წელს]; 2022 წლის ანგარიში, გვ. 111-131 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf> [ბოლოს ნანახია: 20.08.2024 წელს].

[42] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ 2021 წლის ანგარიში, გვ. 86-90, <https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf> [ბოლოს ნანახია: 31.07.2024]; 2022 წლის ანგარიში, გვ. 93-96 < https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf > [ბოლოს ნანახია: 31.07.2024 წელს].

[43] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ. 100-106, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf > [ბოლოს ნანახია: 20.08.2024]; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 226-263, <https://ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf> [ბოლოს ნანახია: 20.08.2024].

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი